«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

გორში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინი-გზის ბუფეთში—ძნელაძესთან.

ფ. ა. კლიმის პეტერბურღელი საბანკირო კანტორა აცხადებს, რომ მან დანიშნა თავის აგენტად ქ. ქუთაისში, 5% შინაგანის მოგებითი სესხის ბილეთების გასაყიდველად—თვე და თვე ფულის გადახდით,—და დასაზღვევლად,

გ-ნი ილია ჭყონია,

რომლისადმიც მივმართავთ ყველა მსურველებს დაწვრილებითი პირობების შესატყობლად. (5—5)

## შინაური ქრონიკა

≈≈ ჩვენის ქალაქის ზოგიერთა ხმოსანებს აზრად აქვთ თურმე,—შეიტანონ ქალაქის საბჭოში წინადადება, რომ ყველა აბანოები ქალაქმა შეისყიდოს და ქალაქის საკუთრებად გადააქციოს. თუ ეს შესრულდა, მაშინ გამგეობას შეუძლიან ეს აბანოები ისე მოაწყოს, რომ სხვა-და-სხვა ავადმყოფებს შეეძლოთ მთელი ზამთრობით თბილისში ყოფნა. იმ ავადმყოფებს, რომელთაც გოგირდის წყალში ბანება სჭირდებათ თავიანთ ჯანის სიმთელის აღსადგენად, ეხლა შეძლება აქვთ მხოლოდ ზაფხულობით იწამლონ სხვა-და-სხვა წყლებზე და ზამთრობით კი ისევ ჩვეულებრივს ცხოვრებას დაუბრუნდენ სშირად თვის და საზიანოდ. მაგრამ თუ ქალაქმა ჩვენი აბანოები, გამოსყიდვის შემდეგ, ისე მოაწყო, რომ ზამთრობითაც შეეძლოთ ავად-მყოფებს იაფად მათში ბანება და ამას გარდა ქალაქში ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, მაგ., წყალის გაყვანით და გაზით განათებით, მაშინ ეჭვი არ არის, ჩვენს ქალაქს ყოველ-წლივ რამდენიმე ათასი მცხოვრები შეემატება, რომელნიც «ნამესტნიკობის» მოსპობას არ შეამჩნევიანებენ.

≈≈ დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მმართველობას ექნება მორიგი სხდომა, რომელზედაც უნდა მოილაპარაკოს აგენტების ამორჩევაზე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში. მმართველობა სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც შეუძლიანთ რაიმე სასარგებლო რჩევა მისცენ მას რიგიანი და საიმედო აგენტების ასარჩევად, მობძანდენ «საზოგადოების» სამწერლოში.

≈≈ ამ დღეებში მისულა გორიდამ ს. კავთისხევს მაზრის ექიმი იმის დასათვალიერებლად—ავად-მყოფობა ხომ არა არის-რამე, და აღმოუჩენია რომ სოფელში სისაღეა. გზის ხარჯი ექიმს სოფლისათვის გამოურთმევია 9 მან. და 50 კაპ. და 12 მანათიც ფაიტონისათვის. იქნება გზის ხარჯი კი სოფლის გადასახდელი იყოს, მაგრამ ეს ფაეტონის ფულის ცალკე გამორთმევა რაღა არისო,—გვწერენ ხსენებული სოფლიდამ.

≈≈ ამ ცოტას ხანში გამოსულა ერთი ინგლისელის წიგნი სვანეთზედ ორტომად; წიგნსა ჰქვიან «ველური სვანეთი» ავტორი ამ წიგნში დაწვრილებით აღწერს როგორც თითონ ქვეყანას, ისე იმის მცხოვრებლებს და აგრეთვე იმ საშიშ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაც იყო აქ მოგზაურობის დროს. ავტორი არ არის კარგი აზრისა ამ ჩვენი ქვეყნის ნაწილზედ და ამიტომ თავის წიგნისათვისაც ესეთი სახელი დაურქმევია.

≈≈ გაზ. «მშაკსა» სწერენ შემახიიდამ: «თებერვლის დამდეგს, 52 შეიარაღებული ცხენოსანი თათრები, შუადღისას, დეცნენ სომხების სოფელს ხანიშენს, რომელიც სულ 10 ვერსზეა შემახიიდამ დაშორებული. ავაზაკებმა გაცარცვეს მთელი სოფელი, მოაქუჩეს, რაც კი ფასიანი რამ მოიპოვებოდა, და წავიდნენ უვნებლად. ერთმა მცხოვრებელთაგანმაც ვერ გაუბედა მათ წინააღმდეგობა, რის გამოც ისე მშვიდობიანად ჩაიარა საქმემ და სისხლი არ დაღვრილა, თუმცა ქალებს კი მძლავრი შეურაცხება მიაყენეს ავაზაკებმა».

≈≈ სოხუმიდამ გვწერენ: თებერვლის 15-ს აქეთ ისე დათბა, რომ ვარდი, ია და მეწნა კიდევაც გაიშალენო.

≈≈ იქიდამვე გვწერენ: ამ ჩვენს ქალაქში ერთი ვიღაც ფრანცუზი ჩამოგვეთესა და აყვარებული ბზა მიაქვს საფრანგეთშიო.

## წერილი სოფლის მასწავლებლებთან.

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემგზავსოს,

იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“.

ნ. ბარათაშვილი.

ძნელად თუ იპოვნით ამ უკანასკნელ დროში იმისთანა სოფლის მასწავლებელს, რომელსაც ეს ზემოდნათქვამი მაღალი აზრი ყოველთვის

---

«დროების» ფელტონი, 25 თებერვ.

## ბიბლიოგრაფია

**«ნობათი», საყოველთვეო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი.**

(დასასრული*)

«საბრალო ჩიტი», მოთხრობა ბ. ლილიპუტისა იმდენად სუსტია, რომ კრიტიკა, რაც უნდა ძირს დაიხაროს, ვერ დასწვდება მას. ყოფა-ქცევა, მოქმედება, ლაპარაკი და მსჯელობა მოთხრობაში გამოყვანილი ბავშვებისა ყოვლად უცნაურია და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. სამწუხაროა, რომ იმისთანა პატარძალივით თავდაბალს ავტორს, როგორიც არის ბ. ლილიპუტი, ეს მეორე გუნდაც კუტად ექცა. მაგრამ ეს ძლიერ არც უნდა გაუკვირდეს მას და არც უიუგეშოდ მოვლენად ჩასთვალოს. ორჯერად მარცხი არამც თუ იმისთანა ქონდრის კაცებს მოუვიდოდათ ხოლმე, როგორნიცა ვართ ჩვენ, თვით კაცობრიობის გულივერებსაც კი ხშირად ემართებოდათ. დემოსფენს ორი პირველი ორატორული სიტყვა ისეთ უგემოდ კუტად ექცა, რომ ათონელებმა კათედრიდამ სტვენით და კიჟინით ჩამოაგდეს, ჩვენ მაგისთანა უნიჭო ლექსისათვის ყურები არ გვასხიაო; მაგრამ, როცა მხნე და ქინიანმა დემოსფენმა გამოიკვლია მიზეზები დამარცხებისა და ერთგულად შეუდგა თავის განვითარებას და გაუმჯობესობას, მესამედ წარმოსთქვა იმისთანა მაღალ ნიჭიერი სიტყვა, რომ მთელი ათინის საზოგადოება უმაღლესს აღტაცებაში აიყვანა. მსგავსივე ამბავი დაემართა ჩვენი დროების გამოჩენილს ტრიბუნსა—გამბეტასა. ვაშინგტონიც თავდაპირველად ორჯერ საშინლად დაამარცხეს ინგლისელებმა; მაგრამ მესამედ კი, ამ დამარცხებით ჭკუა ნასწავლმა, სულ კუდით ქვა ასროლინა თავის მტრებსა. ეს იგავები იმას გვასწავლიან, რომ ბ. ლილიპუტისაგან მესამედ გამარჯვებას უნდა მოველოდეთ; მაგრამ თუ მესამედაც კოჭმა უმტყუნა და თოხანი დაუჯდა, საქმე საეჭვო შეიქმნება, თუმცა უიმედობას არც მაშინ ექმნება შეურყეველი საფუძველი.

ბ. ძამსაშვილი მეტად ჭირვეული ავტორი ყოფილა. არავისი არა შეასმინა-რა და ისევ თავისებურად გაიძახის იანვრის ნომერშიაც. ჯერ მეათედი თავის საზოგადო ფრაზებისა არ დაეხარჯნა კახეთის შესახებ, და უცებ, მოულოდნელად იცკუპა აღმოსავლეთიდგან და დასავლეთში, იმერეთში, ამოჰყო თავი, სადაც თავის უწინდელს ხელობას შეუდგა, ესე იგი საზღვრების ზომასა და მიჯვნასა. თუ შემდეგშიაც ავტორმა არ გადუხვია სწორე გზასა და ასე ჭაობ-ჭაობ იხეტიალა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით უკანვე წამოვიღოთ განვითარებული პირის ეპიტეტი, რომელიც წინად მის შესახებ იყო ნახმარი.

«ფიქრი არწივისა», რომელიც ეკუთნის პროფესორი ბალდანოვის კალამსა, მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობაა, იმ გვარი მოთხრობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბევრს რასმე ეუბნება წარმოდგენასაც, გონებასაც და გულსაცა. სანანურია მხოლოდ, რომ თარგმანის ენა არა სდგას იმ სიმაღლეზედ, რა სიმაღლემდისაც აუყვანია ავტორს შინაარსი მოთხრობისა, და შიგა და შიგ ძლიერ კოჭლობს. მთარგმნელი, მაგალითად, სწერს: გლეხი «ალოცდა ზე[illegible] ზედ), ამოჰკრიფა იქიდგან (სა[illegible] ბარტყები და გადმოუშვა ძი[illegible]. ჩამოვიდა ძირს და მოჰკრიფა ისინი სახლში წასაყვანად. დაინახა თავისი გასაჭირი დედა-არწივმა, ერთბაშად თავს დაეცა ქურდსა და მისცა სრული თავისუფლება თავის კლანჭებსა»... უფრო მომეტებული ენის ცოდნა რომ ეხმარა ქალ. ნინოს, იგი ამ ადგილს ასე გადასთარგმნიდა: გლეხი ალოცდა ზედ, ამოასხა ბუდიდგან ბარტყები და ჩაუშვა დედა-მიწაზედ. ჩავიდა ძირს და აიყვანა ისინი სახლში წასასხმელად. დედა-არწივმა რო დაინახა თავისი გასაჭირი, ერთბაშად თავს დაეცა ქურდსა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რჭიდა თავის კლანჭებსა. იმავე გვერდის შუა-ტირადა მთლად ამაზედ კიდევ უარესად არის გადათარგმნილი. შემდეგს გვერდზედ შეხვდებით ამ გვარს გამოთქმას: «ვერ მოასწრო მელამ არწივის შენიშვნა, როგორც ჩაუვარდა მას კლანჭებში». საჭიროა, მეტად საჭიროა, რომ ნობათის თანამშრომლებმა და თვით რედაქციამაც სასტიკი ყურადღება მიაქციონ ენის კანონიერობასა.

«არწივის ფიქრი» ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმ აზრსა, თუ რავდენად სასარგებლოა თარგმნა დაწინაურებული ხალხების საუკეთესო გონებითის ნაწარმოებისა და რავდენს სიკეთეს შევძლენით ჩვენ დიდებსაც და პატარებსაც მათი გადმოღებით ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ჩვენში აქამდის თარგმანებრივს ლიტერატურას ისე აბუჩად იჭერენ და ისე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომ ორს-სამს მარჯვე მთარგმნელს ვერ დაგვისახელებთ მთელს ქართულს განათლებულს დასში. ცოდნით, განვითარებით მეტად ღატაკნი ვართ; მაგრამ სხვის გონებითს სიმდიდრეს მაინც ნაკლებად ვეტანებით, ჩვენი საკუთარი თხზულება, საკუთარი გოგრიდგან გამოწურული ბევრით უფრო

*) იხ. «დროება» № 42.

თვალ-წინ არა ჰქონდეს წარმოდგენილი და გულში გამოსახული. რომელ სოფლის მასწავლებელზე მიმიშვერთ ხელსა და მეტყვით, რომ იგი არ იყოს პატარა მკურნალი საზოგადო სენისა, მეგობარი ჭეშმარიტებისა და მტერი ბოროტ-მომქმედთა. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ არც ამ ასპარეზზე გამოსულებს, არც ხალხისათვის სხვა გულ-შემატკივართ არა გვაქვს განსაზღვრული პროგრამა. ერთის შეხედვით თითქო ვმოძრაობთ, ვიბძვით, ხალხისთვისა გვაქვს სკოლები, დეპოები, ბანკები და სხ., მაგრამ ხალხის ნამდვილი მდგომარეობა, ხალხის სული და გული, ხალხის სულის ლტოლვილებანი ჯერ-ჯერობით ისევ დაფარულია სარდაც საიდუმლო ფარდითა ჩვენი ყურადღებისაგან; ხალხის ძარღვის ძგერა რაღასაც ითხოვს, მაგრამ ვის ანდოს თავისი სურვილი გარდა თავის შრომაში თანამოზიარე ლაზა ხარისა, როდესაც იგი ვერ პოულობს ნამდვილ მეგობარს, როდესაც იგი დაღონებულია იმ ბოროტ პირთაგან, რომელნიც მას ასხედან კისერზე და სპილოსავით ჩაქუჩს უფარუნებენ თავში.

ჩვენ არ ვიცით ხალხის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი, სასოფლო მასწავლებლების მოვალეობა კია, როგორც ხალხთან უფრო დაახლოებულებისა, გავიცნოთ და გავაცნოთ როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას ხალხის სული და გული, მისი ლტოლვილება, მისი მოთხოვნილება.

არ არის ეჭვი, რომ ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენი ქართული პრესისაც ის არის, რომ იგი ჯერ ვერ არის დაახლოვებული ხალხთან, არ იცნობს ხალხის გულის ძგერასა. ეს შეუძლიან პრესამ, სხვათა შორის, გაიგოს სტატისტიკური ცნობებით, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ამ მიუცილებელ საჭირო ნაწილს ჯერ სრულიად ალაგი არ უჭირავს ჩვენს პრესაში. ვერავინ მეტყვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს ხალხი იმ «კორესპონდენციებით» გავაცნოთ საზოგადოებას, რომელნიც უმეტესად ჩვენგან იგზავნება სოფლებიდგან.

ჩვენ გვინდა ნამდვილი გონივრული და უსასყიდლო დაკვირვებანი ხალხის მდგომარეობაზე, რომელნიც ადვილი აღსასრულებელნი არიან ურთიერთ შორის შრომის გაზიარებით. ამისთვისაც მივმართავ ჩვენს მშრომელ სოფლის მასწავლებელთა, რათა ერთიერთმანეთში ვიქონიოთ ურთიერთობითი კავშირი ყველამ თავ-თავიანთ მაზრაში, გამოვიკვლიოთ პროგრამა ჩვენდამი რწმუნებული სოფლების ეკონომიური და სხვა-მხრივი შესწავლისა და დავაწესოთ კრებანი, რომელნიც დიდს სარგებლობას მოგვიტანენ: ჯერ იმითი, რომ ჩვენ, მარტოობით და სიღარიბით დაყურჩებულებს, შეგვეძლება ერთი-ერთმანეთს განვუზიაროთ ჩვენი აზრები და გრძნობანი და მოგვეცემა შემთხვევა სხვა-და-სხვა პედაგოგიური საგნების შემუშავებისა და თანაგაზიარებისათვის. ამას გარდა, ამით როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას გავაცნობთ ჩვენი სოფლების ეკონომიურს მდგომარეობას.

თუ ეს ჩემი წერილი სოფ. მასწავლებელნო, გამოიწვევს თქვენს თანაგრძნობას, ნუღარ შევდგებით, დავიწყოთ საქმე, შევადგინოთ საზოგადო წესდებულობა და მივმართოთ მთავრობას დასამტკიცებლად.

სოფ. მასწ. ალექსანდრე ნათაძე.

## უცხოეთი

— გაზ. «ნოვოე ვრემია»-ს ტაშკენტიდგან სწერენ შემდეგს: «ზოგიერთა თემთა, რომელნიც დასახლებულნი არიან რუსეთის და ავღანისტანის სამფლობელოთა შორის ნეიტრალურ ადგილზე, სთხოვეს რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს იგინი თავის მფარველობის ქვეშ. ამ თხოვნის საბუთად მოჰყავთ ის გარემოება, რომ ავღანელნი მოიწევენ მათკენ და კიდეც დაიპყრეს სამზღვრებზე მდებარე ნეიტრალური პროვინციები შიგნანი და ვახანი. ეს პროვინციები წარსულს ზაფხულსავე დაიპყრეს ავღანელებმა. დიდი ხანია, რაც ჩვენს შუა აზიის სამზღვარზე ხმებია გავრცელებული, რომ ავღანისტანი დიდს მოძრაობაშია და რაღასაც აპირობს; ამბობდნენ, რომ ახალ-გაზდა ემირს აბდურაჰმანს ჯერ კიდევ რიგიანად არ დაემკვიდრებინა ტახტი, როდესაც იმან ომიანობა განიზრახა მეზობელ ხალხებთან; იმისთვის საჭირო არის ომში გამარჯვება და სახელის დამსახურება, რათა თავის ქვეშევრდომს ხალხს დაავიწყებინოს ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მასზე იმ საშუალებათა ხმარებით, რა საშუალებებითაც ემირის ტახტზე ავიდა იგი. ინგლისელებიც, როგორც ეტყობა, აქეზებენ და ხელს უმართავენ აბდურაჰმანს ომიანობაზე. რამდენად დამკვიდრდა ინგლისლების გავლენა ქაბულაში და რამდენად შემცირებულია იქ ჩვენი გავლენა, ამას შემდეგში ვნახავთ; ეხლა იმას ვიტყვით, რომ ავღანელები სანდონი არ არიან, და ისიც შესაძლებელია, რომ იგინი ინგლისლებმა მოისყიდონ და ჩვენთვის მტრობა გააწევინონ. ამ ეჭვს თავისი საბუთები აქვს: ხმებია, ვითომც ავღანელნი ამუდარიას ზომავდენ, ბუხარის სამზღვრებს ათვალიერებდენ და სხ. წარმოსადგენი არ არის, რომ ეს ფაქტები ხდებოდეს ინგლისლების დაუკითხავად და ურჩევლად; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ აბდურაჰმანის სასახლეში ინგლისლები სრული ბატონები არიან. ავღანელების მიერ ვახანის და შიგნანის დაპყრობაც ცოტად-თუ-ბევრად ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულს ფიქრებს, რადგანაც ეს პროვინციები ჩვენ სამფლობელოს ახლო მდებარეებენ. ავღანელები მოიწევენ ალაის მთებისკენ, რომელთაც მარტო სახელი აქვთ ჩვენი სამფლობელოსი და ნამდვილად კი ჩვენ არ გვეკუთვნიან. ეს ადგილი, როგორც მთიანი, კარგი თავ-შესაფარია მეკობრეთათვის და აქედამ ადვილად შეიძლება ჩვენდამი უკმაყოფილება აღძრან ჩვენს ქვეშევრდომ ფერგანის მუსულმანებთა შორის».

— სუდანის საქმეებზე ნაკლებ არც მერვის რუსეთთან შეერთება აშფოთებს და აღელვებს ინგლისს. საზო-

მოგვწონს და ამისი შედეგი არის ისა, რომ ჩვენი ლიტერატურა ივსება წყალ-წყალა, ბავშური ნაჯღაბნებითა და ევროპიული ტალანტების და მეცნიერების ნაწარმოები კი ჩვენი საზოგადოებისათვის არ არსებობენ. ზლახა ამპარტავნობა რომ გაგიგონიათ, სწორედ ეს არის.

რებუსი, ბ. რევიშვილისაგან შედგენილი, საუკეთესო რებუსებში უნდა ჩაითვალოს, რადგანაც გონების ვარჯიშობის გარდა, იგი ნამდვილს ცნობასაც შესძენს ყმაწვილსა.

პედაგოგიური ნაწილი იანვრის წიგნისა უფრო უკეთესად არის შედგენილი, ვიდრე სანიმუშო ნომრისა. პირველი ადგილი დათმობილი აქვს ბ. წყალტუბელის წერილსა ადამიანის აღზდაზედ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ შესავალია დაბეჭდილი, რომელსაც მხოლოდ ერთი ფურცელი უჭირავს და საკრიტიკო აქ არაფერია; მაგრამ თვითონ ბ. წყალტუბელის თანამშრომლობა კი დიდად სასარგებლო იქნება ჟურნალისთვის, რადგანაც იგი განვითარებული პირია, როგორც საზოგადოდ სწავლაში, აგრეთვე კერძოდ პედაგოგიაში და ჩვენს ლიტერატურაში.

პატარავე წერილი «სამშობლო ენა», მალაროელისა ორს სალს აზრს იპყრობს: ერთი ის არის, რომ დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა, და მეორე ის, რომ მასწავლებელი უნდა იყოს შეგნებილი (сознательный исполнитель) აღმსრულებელი პლანისა და პროგრამისა. ახალი აზრები არ არის, მაგრამ მათი გამეორება, მეტადრე ჩვენს მდგომარეობაში, მომეტებული არასდროს არ იქნება და მასწავლებლების ფხიზლობას დაეხმარება, მეტადრე როდესაც ამ გვარი მარჯვე ილლიუსტრაციით უკვლევენ გზას სალს აზრსა: «ხომ მოგეხსენებათ, რომ ფერშლებმა უმეტეს ნაწილად მედიცინისა არა იცანრა იმის მეტი, რომ კარგად შეაზავებენ წამალსა, დროზედ დაალევინებენ ავად-მყოფს და გაუწევენ ჯეროვან ფარეშობასა. ის კი, თუ რად ეძლევა ეს წამალი და არა სხვა, რა ელემენტებიდგან შესდგება იგი, თვითეულს ელემენტს რა გავლენა აქვს კაცის სხეულზედ და სხვა ამისთანები, არ ესმით მათ. ასეთს სულიერს ჰგზავნის ექიმი ავად-მყოფთან და თან ატანს მომხიბლავს წამალს. ვსთქვათ, ექიმს რაიმე მურტალი მისწრაფების წყალობით განუზრახავს ავად-მყოფის ანდერძის აგება. ფერშალიც უმანკო სულით ამზადებს წამალსა და აძლევს უძლურს ნათქვამისამებრ. ერთი სიტყვით, ასრულებს თავის მოვალეობას და ვერცკი გრძნობს, რომ ის, რაც უფრო მეყაითად ეკიდება თავის მოვალეობას, მით უფრო უახლოვებს უბედურს ავად-მყოფს სიკვდილსა».

წერა-კითხვის სამაგალითო გაკვეთილი ბ. ხეველისა ყველას მოეწონა და ჩვენც მოგვწონს. გზა, რომელსაც იგი ადგია, ის გზაა, რომელიც გარკვეულია დაწინაურებული პედაგოგებისაგან. ჯერ საგნის შესწავლა, მერმე ამ საგნის სახელის ანალიზი ხმების მხრივ, შემდეგ დაწერა ამ სახელისა და ბოლოს კითხვა დაწერილისა და დაბეჭდილი ასოებისა—აი კალაპოტი, რომელშიაც მოუთავსებია ბ. ხეველს თავის გაკვეთილი. ამ კალაპოტს იგი მტკიცედ ადგია, აძლევს ბავშვებს იმ გვარს კითხვებს, რომელნიც პირ-და-პირ შეეხებიან საგანსა, რაც ზოგიერთა მასწავლებელს პედაგოგიის უკანასკნელ სიტყვად მიაჩნია. ჩვენ მხოლოდ ცოტ არეულად მიგვაჩნია რიგი კითხვებისა გაკვეთილის თავში, რომელთაც აზრადა აქვთ საგნის — ის — შესწავლა. კითხვები უნდა შეეხებოდენ ჯერ საგნის ნაწილებსა, მერმე ამ ნაწილების თვისებათა და ბოლოს იმ ადგილს, რომელიც საგანს უჭირავს თავის მზგავს საგანთა შორის. ბ. ხეველს კი საგნის ნაწილებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია და გამოსდგომია იმისთანა რამეებს, რომელნიც ძალიან საჭირონიც არ არიან. ჩვენ მის ადგილას კითხვებს დავალაგებდით ამ სახით: რა მიჭირავს ხელში? ია. რა არის ია? ყვავილი. რად ეძახით ყვავილსა? იმიტომ, რომ გაზაფხულზედ საამურს ყვავილს მოიბამს ხოლმე. რა ყვავილები იცით კიდევ? ვარდი, იასამანი, ნარგიზი და სხ. გავსინჯოთ კარგად ია. ამ ნაწილს რა ჰქვიან? ფესვები. ფესვებზედ რა არის ამოსული? ღერო. ღეროზედ რა ასხია? ფოთლები. ფოთლებს შუა გამლილ ნაწილზედ რას მოიბამს ხოლმე? ყვავილსა. მაშასადამე, რამდენი ნაწილი ჰქონია ისა? ხუთი. ამის შემდეგ მოკლედ გავაცნობდით იის ნაწილების თვისებათა, მერმე შევადარებინებდით ვარდთან, მაგალითად, და ბოლოს შევუდგებოდით ამ ყვავილის სახელის ანალიზსა იმ რიგად, როგორც ეს მოუხდენია გაკვეთილის ავტორს. ჩვენი შენიშვნა რომ ბ. ხეველმა სახეში იქონიოს, ვგონებთ, შემდეგი გაკვეთილები უფრო უნაკლულონი გამოვიდენ.

ვათავებთ ჩვენს გარჩევას ნატვრითა, რომ შემდეგი წიგნები ნობათისა უკეთესნი გამოსულიყვნენ.

იაკობ სვიმონიძე.

გადოებათა და ლორდთა პალატებში დეპუტატები მოსვენებას აღარ აძლევენ მინისტრებს, ერთი ერთმანეთს აღარ აცლიან და ყველანი სთხოვენ მათ პასუხს ამ საგანზე. ჯერ 19 თებერვლის სხდომაზე საზოგადოებათა პალატაში დეპუტატს ონსლოუს გაუპირებია საქმე პირველი მინისტრისათვის თავის კითხვებით ამ საქმის შესახებ და 23 თებერვ. კიდევ სტანგოპს დილკისათვის.

პირველმა მინისტრმა გლადსტონმა განაცხადა, რომ პეტერბურგის ელჩისაგან მოვიდა ორი ტელეგრამა, რომელნიც ამტკიცებენ—მართალია, რომ მერვის მაზრაში მცხოვრებ თურქმენების ოთხ თემს გამოუცხადებია სურვილი რუსეთთან შეერთებისა, რუსეთის იმპერატორსაც მიუღია იგინი თავის ქვეშევრდომებად და აღუთქვამს, რომ გამგებელსაც მალე გაგზავნის იმ მხარეში.

ამ ტელეგრამებიდგან სჩანსო,—სთქვა გლადსტონმა,—ვითომც მერვის თურქმენები მართლა შეერთებოდენ რუსეთსაო. თუ სამინისტრო ნამდვილად დარწმუნდება ამაზედა და შეერთების ფაქტი მოითხოვს რაიმე დიპლომატიურს მოქმედებას, მაშინ პალატას თავის დროზე ვაუწყებთ ყველაფერსაო. შემდეგ გლადსტონმა სთქვა, რომ თეირანიდამაც მოგვივიდა ამბავი მერვის რუსეთთან შეერთებაზე, მაგრამ ისე განუსაზღვრელად, ისე ბნელად და გამოურკვევლად, რომ ნამდვილად, დაბეჯითებით ვერას ვტყობილობთ, და ეს არის იმის მიზეზი, რომ ზემოთა ვსთქვით «თუ ჩვენ ამაზე დავრწმუნდებით-მეთქი». ამ ცოტა ხანში თეირანიდგან ჩვენი ელჩი ყველაფერს დაწვრილებით და დაბეჯითებით შევატყობინებს და ჩვენც პალატას ყოველივეს ვაცნობებთო.

23 (11) თებერვალსაც სტანგოპს მიუქცევია პალატის ყურადღება მერვის რუსეთთან შეერთებაზე და, სხვათა შორის უთქვამს, რომ ეს გარემოება რუსეთსა და ინგლისს შორის მეგობრულს დამოკიდებულებას ავნებსო. დილკმა განაცხადა, რომ მე სრულიად არავიცირა იმაზედ, ვითომც რუსეთს და სპარსეთს რაღაც საიდუმლო პირობა ჰქონდეთ ურთიერთ შორის შეკრულიო, მაგრამ მმართებლობა კი გრძნობს, რომ ეხლა დროა გამართოს მიწერ-მოწერა რუსეთისა და სპარსეთის სამზღვრის შესწორებაზეო. შემდეგ დილკმა ილაპარაკა იმაზედ, რომ ეიუბ-ხანი ისევ სპარსეთშია და მმართებლობა მალე წარუდგენს პალატას დიპლომატიურს მიწერ-მოწერილობას, რომლიდამაც პალატა დაინახავს—თუ ინგლისი როგორ მოქმედობდა ეიუბ-ხანის შესახებაო. მერვის შესახებ რუსეთის მოქმედებაზე მმართებლობას ჯერ არაფრის თქმა არ შეუძლიან, რადგანაც პეტერბურგში მოლაპარაკება აქვს და ჯერ იქ უნდა დაიცვას ეს საგანიო. მმართებლობა იმ პირობებს დაადგება, რა პირობებითაც იმან ავგანისტანი ემირს დაუთმოვო. ემირმა ამას წინად ბეჯითად გამოაცხადა, რომ ამ პირობებს არ გადავალ და მტკიცედ დავიცავო. ავგანისტანის სამზღვრის გაყვანის დროს ცოტა საშიშო ის არის, რომ არავის ჩაუვარდეს ხელში ის სამფლობელო, რომლის სამზღვრებიც არ არის რიგიანად გამოკვლეული და რომელიც ინგლისს არ შეუძლიან განაგოსო, მაგრამ მმართებლობამ განკარგულება მოახდინა, რათა შეიკრიბოს ვრცელი ცნობები ავგანისტანის იმ სამზღვრებზე, რომელნიც სწორედ, ნამდვილად არ არიან განსაზღვრულნიო. იმ ვალდებულებათა გამო, რა ვალდებულებაც ემირმა დაუდვა ინგლისს, ამ უკანასკნელს არ შეუძლიან გულგრილად უყუროს იმას, რაც ამ ჟამად ავგანისტანში ხდებაო. მმართებლობა იმ პოლიტიკას მისდევს, რომ ავგანისტანი გახდოს ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რადგანაც ეს მხარე ზღუდეა ინგლისისაო. ამ მხრივ მმართებლობის პოლიტიკა გამარჯვებულია; ეხლანდელი ემირი უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე იმის წინამოადგილე; ამასთანავე ინგლისთან მეგობრულად არის და ყოველთვის საკვირველი გულ-წრფელობით უდგენს ინგლისს განსახილველად თავის პოლიტიკასაო.

— ის მძიმე და ინგლისისათვის ფრიად მავნებელი შთაბეჭდილება, რომელიც სინკატის დაცემამ კაირში მოახდინა, ნელ-ნელა თავს იჩენს. 17 თებერვალს, ღამის მე-12 საათზე, ხუთი სალდათი და ერთი კაპრალი ადგილობრივი არტილერიისა მისულან ხედივთან და მიურთმევიათ არზა, რომელიც 26 კაცისაგან ყოფილა ხელ-მოწერილი; ამ არზაში ეგვიპტელი სალდათები სწერენ, რომ აღარა გვსურს ინგლისელი ოფიცრების უფროსობა და სუაკიმის ექსპედიციაშიც მონაწილეობას აღარ მივიღებთო. ხედივმა მაშინათვე დაიბარა თურმე გენერალი ვუდი და ეს ამბავი შეატყობინა. ვუდმა კაპრალს ეპოლეტები ჩამოაწყვიტა და ისე სცემა, რომ საწყალი კაპრალი წაიქცა. არზის მიმტანნი ყველანი დაატუსაღეს და სამხედრო სამართალში მისცეს იმის გამო, ვითომც იმათ განზრახვა ჰქონოდეთ ამბოხება მოეხდინათ. გამოძიებამ გამოააშკარავა, რომ ხსენებული არზა გამოუწვევია ადგილობრივი ჯარების უკმაყოფილებას, რომელიც აღუძრავს მათში იმ გარემოებას, რომ ეგვიპტელების ოფიცრები გადააყენეს და იმათ მაგივრად უფროსებად ინგლისელი ოფიცრები დაუნიშნეს.

## სხვა-და-სხვა ამბები.

ოცის წლის პროფესორი. გამოჩენილს ნასწავლს ბიუხნერს ჰყავს უმცროსი ძმა, რომელიც ეხლა გადადგა მეოცე წელში. ამ ჭაბუკმა უკანასკნელ დროს მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი, ასე რომ საფრანგეთის მთავრობამ ჩაბარა მას პროფესორობა უმაღლესს სასწავლებელში, ქალაქს სენტ-ომერს, პა დეკალეს დეპარტამენტში.

დარიგებამ გასჭრა. ეკლესიაში ერთმა ქალმა იგრძნო, რომ ვიღამაც ჯიბეში ხელი ჩაუყო. ქალმა სტაცა ხელი ქურდის ხელსა და მიიხედა უკან. დაჭერილის ხელის პატრონი გამოდგა ჩამომხმარი, დაღმეჭნილი ბებრუცუნა დედაკაცი, რომელმაც სასოებით და გრძნობიერებით წარმოსთქვა:

— «და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენც მივუტევებთ თანანადებთა მათ ჩვენთა»...

ქალს შეებრალა ქურდი, მეტადრე ერთიან მორბილდა მისი მოსწრებული სიტყვებით «მამაო ჩვენო»-დამ, დაიხარა ძირსა და ჩუმად წასჩურჩულა ბებერს:

— მეც მომიტევებია შენთვის, მაგრამ უნდა კი გახსოვდეს, რომ ამას იქით აღარ ჩაიდინო მაგეთი საქციელი.

ბებერმა დედაკაცმა, თითქო საშინლად შერცხვენილმა, სტაცა ქალს ხელი, საჩქაროდ დაუკოცნა იგი, უცებ გავარდა ეკლესიიდამ და წავიდა. ქალმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და ნახა, რომ პორტმანეც გამქრალიყო ბებერ დედა-კაცთან ერთად.

—

რუსეთში ყველაზე მომეტებულს სახელმწიფო ხარჯს იხდის ორი მეთამბაქოვე ფაბრიკანტი: ასმოლოვი როსტოვში დონზე და ბოღდანოვი და კამპ. პეტერბურგში. პირველმა გადიხადა შარშანდელ ბანდეროლებზე ერთი მილიონი და სამასი ათასი მანათი ხარჯი, მეორემ—ერთი მილიონი და ორასი ათასი მანათი.

—

ახალი სათამაშო ქაღალდები. ამას წინად შემოიღეს «ნაციონალური ნემეცური სათამაშო ქაღალდები». იმათი მომგონი არის დოქტორი ტიმონ შრეტერი, რომელსაცა სძულს საფრანგეთი. დოქტორს შრეტერს ძალიანა სტანჯავს ის გარემოება, რომ ნემცებს აკლიათ ეროვნული გრძნობა, რაიცა მტკიცდება ვითომ იმითი, რომ ნემცები დროს ატარებენ ფრანცუზულ სათამაშო ქაღალდებზე. შრეტერს ძალიან უნდა, რომ ნემცებმა ქაღალდის თამაშობაშიაც კი პატრიოტობა გამოიჩინონ და ამ აზრით გამოსცა ხსენებული ნაციონალური ქაღალდები, «რომელნიც აკმაყოფილებენ ყველნაირ მოთხოვნილებას: საყოველთაო სახმარებლად უფრო საქებურნი არიან, მათი დედა-აზრი უფრო მარტივია და გარეგნობა ლამაზი და მშვენიერი». შრეტერის სათამაშო ქაღალდები ოთხი ჯურისანი არიან: მიხაკის ფერი, ტრეფის მაგიერ, მწვანე, პიკის მაგიერ; ყვითელი, «აგურის» მაგიერ, და მეოთხე ფერი წითელი. თითო ჯურაში 13 ქაღალდია. ოთხ ტუზებზე გამოხატულია იმპერატორების გერბი—დიდებული კარლოსა, ფრიდრიხ ბარბაროსასი, რუდოლფ გაბსბურგისა და მაქსიმილიანესი. ყველა ეს 52 ქაღალდი აჭრელებულია პატრიოტული ლექსებით.

თვით ფელდმარშალმა მოლტკემ მოუწონა დოქტორ შრეტერს ასეთი პატრიოტული გამოგონება და მისწერა მას მადლობის წერილი.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

23 თებერვალს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ სამოსამართლო წესდებულებებში, სხვათა შორის, შემდეგი ცვლილებები უნდა მოხდეს: ზოგიერთა საქმეები აღარ უნდა ექვემდებარებოდენ ნაფიც მსაჯულებს და დადგენილ უნდა იქმნას მსაჯულთათვის დისციპლინარული სასჯელი იმისთანა დანაშაულობაზე რომელსაც კერძო ხასიათი აქვს, მაგრამ ლაქას კი სცხებს მთელ მათს ამხანაგობას.

ბერლინი. დღეს გაიხსნა გერმანიის პარლამენტი და გახსნისათანავე წაკითხულ-იქმნა სატახტო სიტყვა, რომელიც ორ ნაწილად განიყოფება: პირველი ნაწილი შეიცავს სოციალურ საქმეებს; ამ ნაწილში ნათქვამია, რომ იმპერატორს განზრახვა აქვს მუშათა ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს და ხალხმა თანაგრძნობით მიიღო იმპერატორის ამ გვარი სურვილი; მუშების უბედურ შემთხვევათაგან დაზღევის შემოღების შემდეგ, დამახინჯებულ და მოხუც მუშებზე მზრუნველობასაც შეუდგებიან; ეს საშუალებანი ფესვებს გამოუთხრიან იმ ლტოლვილებათ, რომელნიც მიმართულნი არიან ეხლანდელი საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ და საგნათ აქვთ მისი ძალადობით შეცვლა. სიტყვის მეორე ნაწილში ხალხთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზედ არის ლაპარაკი. გერმანიასა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა სუფევს და ყველას მშვიდობიანობა სურსო. ამ გვარად მშვიდობიანობა დაცულია. ბოლოს, სიტყვაში მოხსენებულია, რომ მეზობელ იმპერატორების სასახლეთა შორის მთამამავლობითი მეგობრობის განმტკიცება და ის დახვედრა, როგორც მემკვიდრე პრინცს იტალიაში და ესპანიაში დახვდენ, ამტკიცებენ, რომ ხელმწიფენი და ხალხნი ენდობიან გერმანიის პოლიტიკასაო.

კონსტანტინოპოლე. კრიტის გუბერნატორად ისევ ქრისტიანი ფოტიადეს-ფაშა დაინიშნა.

მოსკოვი. რუსიის მოსკოვის ბაღოსნობის მოყვარულნი მართავენ მომავალ წელიწადში მოსკოვში მთელი რუსეთის ბაღოსნობის გამოფენას.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ბაღოსნობის სამგვარი სკოლებისა: დაბალი—ბაღების მუშებისთვის, საშუალო—პრაქტიკული მებაღეებისთვის და უმაღლესი—ნასწავლი მებაღეებისთვის.

# განცხადებანი

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25°/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბანლო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩბები, კატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—66)

---

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შინაგანულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შინაგანულ ავადმყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: გორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შინაგანულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავადმყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით $11^1/_2$ საათიდამ $12^1/_2$-ამდე შინაგანულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შინაგანული ავადმყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შინაგანული ავად-მყოფობისა წამლობისთვის.

კბილის ავადმყოფობის ექიმი ვოლფზონი ყოველს დროს მიიღებს თავის ეახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

---

## პ. ჭულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

იყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

---

## სტამბა

### ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—34)

---

## გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ალი, მოთხ. ნ. ლომოურისა . 30 კაპ.
დედა მაია, მოთხ. ს. მგალობლიშვილისა . . . 20 —
ბედ-უკუღმართი ქალაბობა, მოთხ. ალ. მირიანაშვილისა. . . . . . . 15 —
იოვანე შავთელი (ბიოგრაფია) ზ. მთაწმინდელისა . . . 15 —
ნობათი, საყმაწვილო ჟურნალი, თითო 50 კაპ. მთელის წლის . . . . 4 მან.
ხომლი, გამოც. გოგებაშვილისა . . . . . . . 30 კაპ.
კუნწულა, გამ. გოგებაშვილისა 40 —
Первый шагъ, ლ. აღნიაშვილისა . . . . . . 40 —
ანტონ ფურცელაძის ნაწერი, პირ. წიგნი. . . . . 1 მან.
ანატომია კაცისა, ალ. კავთელისა . . . . . . 25 კაპ.
საქართველოს აოხრება, (ისტ. ბროშიურა) . . . . . 20 კაპ.
სამზარეულო, შედგ. ბარ. ჯორჯაძისაგან . . . 1 მან.
(5—5)

---

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაიც |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| - — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—85)

---

სავლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის"—25°/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები-თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საუქმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—38)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.
მეორისა — — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი.
პირველის ხარისხის—1 გ. 5 კ.
მეორისა — —1 გ. $3^1/_2$
მესამისა — —1 გ. 3 კ.

ჯვარის-მამის პური:
პირველის ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 კ.
მესამისა — —1 გ. $3^1/_2$

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის—1 გ. 9 კ.
მეორის — —1 გ. 8 კ.
სუკი . . . —1 გ. 16 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 9 კ.

ღორის ღორცი:
პირველის ხარისხის —1 გ. 8 კ.
მეორის — —1 გ. 7 კ.

---

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7. საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 Февраля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.